



+

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ა(ა)იპ ცისარტყელა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე : თეონა ყაჭეიშვილი

წევრები:

ნათელა ბასილია - (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);

ხათუნა ნოზაძე - (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ნიკა უთალიშვილი - (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

გიორგი ნებიერიძე - (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

დავით კიკაბიძე - (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

გიორგი ჩაჩუა - (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ხათუნა ქერაშვილი - (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ლიანა კობესაშვილი - (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

ალექსანდრე ჩახნაშვილი - (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

მაკა ნატროშვილი - (ზოგადი განათლების დაწესებულების საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ ცისარტყელა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204441069

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	მცხეთა
ფაქტობრივი მისამართი	მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი N106, ნაკვეთი N061
საფოსტო ინდექსი	3311
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://www.saguramonatureschool.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	saguramonatureschool@gmail.com



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	+995 593 333 303
---	------------------

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანება MES 8 24 0000575019 (24.05.2024 წ)
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24,25 ივნისი, 2024 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამოს ადმინისტრაციული ერთეული, ბლოკი N106, ნაკვეთი N061

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით განსაზღვრულმა ექსპერტთა ჯგუფმა, ვიზიტის დაწყებამდე შეისწავლა სკოლის თვითშეფასება და თანდართული დოკუმენტაცია. დისტანციურად გამართა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრები, განიხილა ვიზიტის საორგანიზაციო საკითხები, შეიმუშავა დღის წესრიგი, ასევე მოითხოვა წარმოების ფარგლებში დამატებითი დოკუმენტაციის ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გაეგზავნა წინასწარ.

სკოლაში განხორციელებული ვიზიტის ორივე დღე (2024 წლის 24, 25 ივნისი) წარიმართა წინასწარ გათვალისწინებული დღის რეჟიმის შესაბამისად, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტაცია, მათ შორის: ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ადამიანური რესურსები მართვის საკითხები, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით სკოლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული საქმიანობა. დაათვალიერა კურიკულუმთან მიმართებაში დაწესებულების სასწავლო გარემო, საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები. გაესაუბრა სკოლის წარმომადგენლებს: ადმინისტრაციის წევრებს და მასწავლებლებს. ზემოთაღნიშნულის საფუძველზე მომზადდა შესაბამისი დასკვნა.

ექსპერტების მიერ, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად გამოკვეთილი მიგნებები გაცნობილ იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს. დაწყებთების ექსპერტი ექსწრებოდა მის საგნობრივ ჯგუფში შემავალ ინტერვიუებს, დასვა კითხვები, გააკეთა კურიკულუმების რევიზია.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა
90	80	90

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ა(ა)იპ ცისარტყელამ დაისახა მკაფიო მიზნად - აღზარდოს თავისუფალი, შემოქმედებითი, დამოუკიდებელი, ბედნიერი ადამიანები. ეს სკოლა მიჰყვება შტაინერის მეთოდს „მიიღეთ ბავშვები პატივისცემით, აღზარდეთ ისინი სიყვარულით, წარმართეთ ისინი თავისუფლებისკენ“. ბავშვისთვის ამ სკოლაში შესვლა ჰგავს ალისას საოცნებო ქვეყანაში გასეირნებას. ეს არის ზღაპრების, მითებისა და



ლეგენდების, მუსიკის, ხელოვნების, ფიზიკური ექსპერიმენტების, მთელი კლასის მიერ შესრულებული სპექტაკლების და ტრადიციული ფესტივალების საოცარი სამყარო; თავად მოსწავლეების მიერ დაწერილი და ილუსტრირებული სახელმძღვანელოები, სამყარო გამოცდების გარეშე. აქ ნახავთ ლოკოკინას გზას, ნატურალური ხის ბარიერებიან საქანელას, ბუნებრივ სასრიალებელს მსხვილი მოტორიკისთვის და კოორდინაციისთვის ძალიან სასარგებლოს. ეს არის სკოლა, სადაც ხორბალს თვითონ მოსწავლეები თესავენ, იღებენ და პურსაც აცხობენ...

დაწყებით სკოლაში ბავშვები ყოველდღიურად მღერავენ თავიანთი კლასის მასწავლებელთან ერთად. მუსიკა ინტეგრირებულია აკადემიური საგნების სწავლებაში, როგორცაა მათემატიკა, ბუნებისმეტყველება, ჩვენი საქართველო.. გაკვეთილებზე იყენებენ სიმებიან და ჩასახერ ინსტრუმენტებს. დამატებით საგნად სწავლობენ ევრითიმias. ევრითიმია არის მოძრაობის ხელოვნება, რომელიც ჩვეულებრივ ტარდება პოეზიის ან მუსიკის თანხლებით და „მიზნად ისახავს დაეხმაროს ბავშვებს გონებით, სულით და სხეულით ჰარმონიულად განვითარდნენ“.

სასწავლო გეგმაში, აკადემიური დისციპლინების უმეტესი გაკვეთილები ტარდება ბლოკებად, 3-5 კვირის განმავლობაში. თითოეული მოსწავლე, როგორც წესი, წერს და ჰქმნის საკუთარ სახელმძღვანელოს, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე კვირაში ნასწავლ მასალას. ამ ბლოკებს მხარს უჭერს გაკვეთილები ისეთ საგნებში, როგორცაა მუსიკა, ხელოვნება და უცხო ენები.

საერთაშორისო პრაქტიკა ვალდორფის განათლებას, აღიარებს როგორც ალტერნატიულ სკოლას, რომელიც ორიენტირებულია სწავლებისა და სწავლის უნიკალურ მიდგომაზე. მაგალითად: მასწავლებელი დაფაზე ხატავს ფერადი ცარციით ნახატს თემის ან საგნის გასაცნობად. გაკვეთილის სტრუქტურა მოიცავს აქტივობებს, რომლებიც „მიმართავს ბავშვს მოსმენისკენ, სხეულის მოძრაობებისკენ, მზერისა და გრძნობებისკენ“. ეს აქტივობები შეიძლება მოიცავდეს გონებრივ მათემატიკას, ტაშით დათვლას, თოკზე ხტომის გამოყენებით აქტივობებს, სხვადასხვა თამაშებს, ფოლკლორს და წერა-ხატვას უხაზო ალბომებში. მასწავლებლებს შეუძლიათ თავისუფლად ჩართონ ის აქტივობები, რომლებიც, მათი აზრით, საუკეთესოდ მუშაობს კლასში ბავშვებისთვის. რასაც პრაქტიკულადაც აკეთებენ...



ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება




	<input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება



	<input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	<input checked="" type="checkbox"/> შეესაბამება <input type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება 	<p style="text-align: center;">აღწერა</p> <p><i>(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)</i></p>



რაოდენობა: -90-	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება <input type="checkbox"/>	
--------------------	--	--

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. დაწესებულებამ წარმოადგინა განახლებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები, შეფასდა, როგორც მეტწილი შესაბამისობა. წარმოდგენილი მასალებიდან ასევე ჩანს, რომ სკოლას შეთანხმებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შესაბამისად ინდიკატორი 3.4.1.1 გადავიდა სრულ შესაბამისობაში.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი



სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	ხარვეზი
---------------------	---	----------------

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
1.1.1.6	სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.	სკოლამ უზრუნველყოს სკოლის სახელწოდების ცვლილება მოქმედ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციაში შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში ა/წლის 06/-06- 06/06/2025-დე .
1.2.2.3	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა	სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების ანგარიშის სახით <u>გამოქვეყნება სკოლის ვებგვერდზე</u> შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 02/09/2024-09/09/2024 -მდე რაც უზრუნველყოფს მის საჯაროობას.

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
<i>ინდიკატორი N3.1.2.2.</i>	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;	სკოლამ უნდა უზრუნველყოს შემცველი მასწავლებლის/კადრის აყვანა, რომელიც შეძლებს ძირითადი მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ჩაანაცვლოს ის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 18/07/2024-16/09/2024 -მდე.
<i>ინდიკატორი N3.1.2.4.</i>	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - 18/07/2024 წლიდან -16/09/2025 წლამდე მასწავლებლების დასაქმება კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მოთხოვნის შესაბამისად.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
<i>ინდიკატორი N.2.1.2.1</i>	საგნობრივი კურიკულუმი წარმოადგენს სტრუქტურირებულ დოკუმენტს და მოიცავს ყველა აუცილებელ კომპონენტს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (17.07.2024-02.09.2024) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში ყველა თემისა და სამიზნე ცნებების ფარგლებში ასახოს შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი.
<i>ინდიკატორი</i>	კურიკულუმი მიემართება ეროვნული	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში



<p>N.2.1.2.2</p>	<p>სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს</p>	<p>გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (17.07.2024-02.09.2024) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში ყველა თემატური ერთეულის მიხედვით მოახდინოს გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში შინაარსობრივი ნაწილის გაწერა (სამიზნე ცნება/ ქვეცნება, კომპლექსური დავალების დასახელება, საკითხთა კლასტერი, კონტექსტ- მაგალითი, მაგალითი შედარებისთვის, რესურსები).</p>
<p>ინდიკატორი N.2.1.2.3</p>	<p>საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას</p>	<p>სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (17.07.2024-02.09.2024) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში ასახოს სხადასხვა ტიპის მრავალფეროვანი რესურსები.</p>
<p>ინდიკატორი N.2.1.2.5</p>	<p>მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს</p>	<p>სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (17.07.2024-02.09.2024) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების უპასუხებს.</p>
<p>ინდიკატორი 2.2.1.3.</p>	<p>შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი</p>	<p>სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (17.07.2024-02.09.2024) და შექმნას მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს დაეფუძნება, რათა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი</p>
<p>ინდიკატორი N.2.2.1.4.</p>	<p>სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი</p>	<p>სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება და ვერიფიკაციის დოკუმენტის ამოქმედება მითითებულ ვადაში (აპრილი, 2024 - დეკემბერი, 2024)</p>
<p>ინდიკატორი</p>	<p>სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი,</p>	<p>სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება მითითებულ ვადაში (2024 ივლისი- 2025</p>



<i>N.2.2.2.4.</i>	კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.	წლის ივლისი) და დამატებით გამოაცხადოს ვაკანსია შესაბამისი კვალიფიკაციური კადრების მოზიდვის/შერჩევის და დასაქმების მიზნით.
<i>ინდიკატორი N.2.3.1.1.</i>	<i>მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად</i>	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება და კურიკულუმის შეფასებისა და მონიტორინგის განხორციელება მეთოდოლოგიის შესაბამისად მითითებულ ვადაში (სექტემბერი, 2024 - მაისი, 2025)
<i>ინდიკატორი N.2.3.1.2.</i>	<i>მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას</i>	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება მითითებულ ვადაში (სექტემბერი, 2024 - მაისი, 2025)
<i>ინდიკატორი 2.3.1.3.</i>	<i>მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას</i>	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება და მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მიზნით მითითებულ ვადაში (სექტემბერი, 2024 - მაისი, 2025).
<i>ინდიკატორი N.2.3.2.3.</i>	<i>შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები</i>	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება და სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის ამოქმედება მითითებულ ვადაში (ივნისი, 2024 - იანვარი, 2025)
<i>ინდიკატორი N.2.4.1.1.</i>	<i>იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი</i>	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება, კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება, მითითებულ ვადაში, (ივლისი, 2024 - სექტემბერი, 2024)
<i>ინდიკატორი N.2.4.1.2.</i>	<i>კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს</i>	სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება, კურიკულუმის რევიზიის პროცესში წინარე გამოცდილებისა და მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გათვალისწინება, მითითებულ ვადაში (ივლისი, 2024 - სექტემბერი, 2024)

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.



სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
<i>ინდიკატორი N1.1.1.3</i>	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.	სასურველია, პედაგოგიური კონფერციის ყველა ოქმი გაფორმდეს სრულყოფილად: სასურველია, იყოს უფრო ფართო ჩანაწერი საკითხის გარშემო, კერძოდ: ვინ გამოთქვა აზრი, რა იყო მსჯელობის არგუმენტი, ვინ იყო მომხრე და ვინ წინააღმდეგი, რამდენი ადამიანი ესწრებოდა, ასევე, კარგი იქნებოდა, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო დანართის სახით პედაგოგიურ კონფერენციაზე დამსწრეთა ვინაობა და შესაბამისი ხელმოწერები და ა.შ.
<i>ინდიკატორი № 1.2.1.4</i>	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	<i>სასურველია, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში იყოს გაწერილი ღონისძიებების შესაბამისი რესურსები.</i>
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
<i>ინდიკატორი N3.4.1.1.</i>	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების	სასურველია, დაწესებულებამ აწარმოოს ე.წ. ვიზიტორთა ჟურნალი



	<p>დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური</p>	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
<i>ინდიკატორი N...</i>		
4.2.4.3	<p>შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს</p>	<i>სასურველია, სკოლა დარეგისტრირდეს ბიზნეს-ოპერატორად</i>



	მოსწავლის ინტერესებს.	საუკეთესო	
--	--------------------------	-----------	--

<i>სტანდარტი N2</i>	<i>სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)</i>	<i>რჩევა</i>
<i>ინდიკატორი N.2.1.2.1.</i>	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;	სასურველია, სკოლამ სახელმწიფო ენის ზოგიერთი კლასის კურიკულუმში (მაგ . მე-2 კლასი) კონტექსტ- მაგალითები გაწეროს კომპლექსური ტიპის დავალებებისა და ძირითადი ტექსტების შესაბამისად, ყურადღება მიაქციოს, რომ არ იყოს აცდენა საკითხების, თემებისა და კომპლექსური დავალებების ურთიერთმიმართებებში.
<i>ინდიკატორი N.2.1.2.2.</i>	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;	სასურველია, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისთვის ქვეცნებები მიემართებოდეს კონკრეტული სამიზნე ცნებისკენ მე-2 კლასი - სასურველია ჩანდეს კომპლექსური ტიპის დავალება სრული სახით და არა მხოლოდ იდეა. მე-6 კლასი რესურსის გრაფაში წერია ინფორმაციის მოძიება ინტერნეტიდან - სასურველია დაკონკრეტდეს წყარო სასურველია, მუსიკის საგნის პირველი კლასის კურიკულუმში II და III თემის ფარგლებში მოცემული შემოქმედებითი დავალებები შინაარსობრივად უფრო მჭიდრო კავშირში იყოს თემებთან და საკითხებთან.
<i>ინდიკატორი N.2.1.2.4.</i>	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;	მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მიერ სკოლას მიეცა რჩევა: სკოლას გათვალისწინებული აქვს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები და წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა დოკუმენტში. სასურველია ზემოაღნიშნული მიდგომები საგნობრივი კურიკულუმის ნაწილში იქნას ასახული.



<p><i>ინდიკატორი</i> 2.1.2.5.</p>	<p>მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს</p>	<p>საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მიერ სკოლა მიეცა რჩევა: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება უნდა მიემართებოდეს კონკრეტული დავალებისკენ და არ უნდა იყოს ზოგადი სახის.</p> <p>სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები ტექნოლოგიების საგნისთვის, სასურველი იქნებოდა, შეფასების რუბრიკა წინასწარ იყოს შემუშავებული ყველა დავალებისთვის.</p>
<p><i>ინდიკატორი</i> N.2.2.1.5.</p>	<p>სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით</p>	<p>სასურველია სკოლამ მარეგულირებელ დოკუმენტებში მიუთითოს თითოეული დოკუმენტის შენახვის ვადა.</p>
<p><i>ინდიკატორი</i> 2.2.2.1</p>	<p>სასწავლო პროცესში გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სასწავლო რესურსი</p>	<p>მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმებში რესურსად ძირითადად სახელმძღვანელოა მითითებული. სასურველია, დამატებული იყოს დამხმარე რესურსების ჩამონათვალი, რაც გასაუბრების პროცესში დაადასტურეს პედაგოგებმა.</p>
<p><i>ინდიკატორი</i> N.2.2.2.4.</p>	<p>სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.</p>	<p>პედაგოგმა, რომელსაც ჩაბარებული აქვს საგნის გამოცდა ტექნოლოგიებში, საკმარისია გაიაროს მასწავლებელთა მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამა, რის შემდეგაც ის მიიღებს მასწავლებლის სტატუსს.</p>

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე



გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

აღნიშნულ დაწესებულებას აქვს ჰუმანისტური მიდგომა პედაგოგიკისადმი, რომელიც დაფუძნებულია ავსტრიელი ფილოსოფოსის რედოლფ შტაინერის, ანტროპოსოფიის ფუძემდებლის საგანმანათლებლო ფილოსოფიაზე. ვალდორფის პედაგოგიკა გამოყოფს ბავშვის განვითარების სამ ფართო ეტაპს. ადრეულ წლებში განათლება ფოკუსირებულია პრაქტიკულ, პროაქტივულ აქტივობებზე და ბუნებრივ გარემოზე, რომელიც ხელს უწყობს შემოქმედებით თამაშს. დაწყებით სკოლაში აქცენტი კეთდება მოსწავლეთა მხატვრული გამოხატვისა და სოციალური შესაძლებლობების განვითარებაზე, გაგების როგორც შემოქმედებითი, ისე ანალიტიკური გზების ხელშეწყობაზე. ზოგადად, მიდგომა ხაზს უსვამს წარმოსახვის როლს სწავლაში და აფასებს ინტელექტუალური, პრაქტიკული და მხატვრული აქტივობების ინტეგრაციას სასწავლო გეგმის ფარგლებში.

საგანმანათლებლო ფილოსოფიის მთავარი მიზანია განავითაროს თავისუფალი, მორალურად პასუხისმგებელი და ინტეგრირებული პიროვნებები, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან მაღალი ხარისხის სოციალური კომპეტენციით.



ა(ა)იპ ცისარტყელა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნავს, რომ შემუშავებული აქვს სკოლის მისია და ხედვა. წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, სკოლის მისია და ხედვა მოცემულია სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო კურიკულუმში. მისიაში ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე ადამიანის აღზრდაზე, მოსწავლეთათვის კაცობრიობის კულტურულ მონაპოვარზე და მეცნიერების მიღწევათა გაცნობაზე, მოზარდთა აზროვნებისა და შემოქმედებითი უნარების გაღრმავებაზე, ეკოლოგიურ და სოციალურ პასუხისმგებლობის განვითარებაზე, ახალგაზრდების ჯანმრთელი ფიზიკური და ფსიქიკური ჩამოყალიბების ხელშეწყობაზე. ჩამოთვლილია სკოლის ხედვის პრიორიტეტული საკითხები:

- სწავლა ინტერესით
- საკუთარი აღმოჩენების გზით სვლა, ყველა საგანში შემოქმედებითი პროცესი,
- ინდივიდუალური მიდგომა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება,
- საგანთა შორის კავშირების, ხედვის მთლიანობის ხელშეწყობა,
- სკოლასა და ბაღში გატარებული დრო, როგორც ცხოვრების ღირებული ნაწილი,
- მაგალითის მნიშვნელობა და სოციალური კომპეტენციის აღზრდა,
- ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა;

სკოლის მისია და ხედვა პირდიპირ კავშირშია სკოლის კონცეფციასთან, მის დანიშნულებასთან და არის საავტორო/უნიკალური! სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით ჩანს, რომ სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები არ ეწინააღმდეგება და შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

სკოლა ჰუმანური ღირებულებების მქონეა, რაც კარგად ჩანს მისიაში და ხედვაში: წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ზრუნავს მოზარდების პიროვნულ განვითარებაზე, რაც სკოლის წარმოდგენილი სასკოლო გეგმით დასტურდება: "სკოლის ამოცანაა მოსწავლის ჰოლისტიური (შემეცნებითი, ფიზიკური, ფსიქო-სოციალური) განვითარება. ამისათვის დაწყებით საფეხურზე მიმდინარეობს: 1. ფუნდამენტური აკადემიური უნარების - წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარების ხელშეწყობა; 2. სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების, პოზიტიური აკადემიური თვითკონცეფციის (საკუთარი თავის, როგორც მოსწავლის, აღქმა) ჩამოყალიბება და მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთვის; აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

სკოლის დოკუმენტაციაში არ მოიძებნა დოკუმენტი მტკიცებულების სახით : მაგალითად ოქმი, სადაც იკითხება რომ მისიასა და ხედვას აცნობენ მშობლებს. 2023 -2024 სასწავლო წლის პედაგოგიური კონფერენციის ორ ოქმში (#1 და #5) არის მოკლე ჩანაწერი, რომ დაწესებულება ემზადება სკოლის ავტორიზაციისთვის, რაც შეიძლება ჩაითვალოს, რომ შემუშავების პროცესის თანამონაწილეა სასკოლო



საზოგადოება, კერძოდ მასწავლებლები. ასევე, სკოლამ წარმოადგინა მშობლებისთვის გაზიარებული ინფორმაციის ორი წყარო (საინფორმაციო წერილი-განცხადება) ავტორიზაციის მზადებისთვის მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობაზე. სკოლას მიეცა რჩევა, რომ პედაგოგიური კონფერციის ყველა ოქმი გაფორმდეს სრულყოფილად: სასურველია, იყოს უფრო ფართო ჩანაწერი საკითხის გარშემო, კერძოდ: ვინ გამოთქვა აზრი, რა იყო მსჯელობის არგუმენტი, ვინ იყო მომხრე და ვინ წინააღმდეგი, რამდენი ადამიანი ესწრებოდა, ასევე, კარგი იქნებოდა, რომ წარმოდგენილი ყოფილიყო დანართის სახით პედაგოგიურ კონფერენციაზე დამსწრეთა ვინაობა და შესაბამისი ხელმოწერები და ა.შ. გამგეობის თავმჯდომარესთან ინტერვიუში და სკოლის თანამშრომლებთან გასაუბრებისას ყველა მხარემ აღწერა სასკოლო საზოგადოების მისიის, ღირებულებების და ხედვის შემუშავების პროცესში ჩართულობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ მათ ჩართული ჰყავდათ ძირითადად ორგანიზაციის გამგეობა და მასწავლებლები სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარების პროცესში. გამგეობის თავმჯდომარე და სკოლის პერსონალი აღწერს, რომ მოხდა ზეპირი უკუკავშირის გაცემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან და საბოლოოდ სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება, თუმცა სკოლა აცნობიერებს, რომ მისიის ჩამოყალიბების პროცესში საჭიროა სასკოლო საზოგადოების უფრო ფართო სპექტრის ჩართვა. ამიტომაც აპირებს უკუკავშირის პროცედურის სპეციალური ფორმის/ანკეტის მეშვეობით პერიოდულად ელექტრონული ფორმით ჩატარებას, აღნიშნული ფორმა/ანკეტა უკვე მომზადებულია. აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაწესებულების ვებ. გვერდზე:

<https://www.saguramonatureschool.edu.ge/>

აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება არ შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.



დაწესებულებამ თვითშეფასებასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმაში ცალკე აქტივობად გაწერილი ღონისძიება “სკოლის სახელწოდების მოყვანა შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან”, რომლის დასრულების ვადა იყო ა/წლის 25 ივნისი .

პროცესი დაწყებულია, იუსტიციის სახლში ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ შეიტანა განცხადება B24072529/3 (07/06/2024 (, რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია. სარეგისტრაციო წარმოება შეჩერებულია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1.ა მუხლისა და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად და 30 დღის ვადაში წარმოსადგენია შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაცია, რომლის სრულად წარდგენის შემთხვევაში დაწესებულების სახელწოდება იქნება : “ ააიპ "ცისარტყელა" - საგურამოს ვაჟა-ფშაველას სახელობის საბუნებისმეტყველო სკოლა” და რომელიც შესაბამისობაში იქნება კანონმდებლობასთან. სკოლამ წარმოადგინა ახალი შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია ვადად (06.06.2024 - 06.06.2025) აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ასევე, მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სახელზე ა/წლის 12 ივლისს დათარიღებული № **B24088577** განცხადება, რომლითაც მოთხოვნილია სუბიექტის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია (ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა). აღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება ინდიკატორის მეტწილი შესაბამისობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის ვებგვერდი <https://www.saguramonatureschool.edu.ge/>
- ✓ პედაგოგიური კონფერენციის ოქმები;
- ✓ ბრძანება გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების თაობაზე ;
- ✓ ააიპ ცისარტყელას შესაბამისობის გეგმა;
- ✓ სსიპ საჯარო ეროვნული სააგენტოს 15 ივლისი 2024 B24088577/3 გადაწყვეტილება # B24088577/3 (15/07/2024 13:32:18) სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შეესაბამება

მეტწილად შეესაბამება

ნაწილობრივ შეესაბამება

არ შეესაბამება



1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

2. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

3. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

ა(ა)იპ ცისარტყელას ცალკე დოკუმენტად აქვს დამტკიცებული „ ა(ა)იპ. “ცისარტყელა - საგურამოს ვაჟა-ფშაველას სახელობის საბუნებისმეტყველო სკოლის“ ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის 2024 წლის 8 იანვრის ბრძანება №05-01.01.

მისიდან გამომდინარე სკოლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვა ხორციელდება შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

დაწესებულებამ წარმოადგინა შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023–2030) სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვით სკოლამ ოთხი სტრატეგიული მიზანი აიღო პრიორიტეტულად:

- ❖ სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებისა და ეფექტური სასწავლო გარემოს შექმნა;
- ❖ მატერიალური ბაზის გაუმჯობესება
- ❖ უსაფრთხო გარემოს დამკვიდრება და უზრუნველყოფა
- ❖ ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3 სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლის წარმომადგენელთა თქმით, სკოლა სასწავლო წლის დაწყებამდე შეიმუშავებს ერთწლიან სამოქმედო გეგმას, რაც ძირითადად მოიცავს სკოლის ყოველდღიური ფორმალური და არაფორმალური საქმიანობის გეგმა - პროგნოზს. არსებული მდგომარეობით, სკოლას აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი ითვალისწინებს სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული იყოს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. სკოლას ამ ეტაპისათვის აქვს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, ასევე, სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული აქტივობები მეტ-წილად შეესაბამება სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2023-2024 სასწავლო წელი) ითვალისწინებს რეალისტურ ვადებს შესრულების, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურული ერთეულებს, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. ერთწლიანი გეგმის წარმოდგენილ ნიმუშს არა აქვს ღონისძიებების განხორციელებისთვის საჭირო შესაბამისი რესურსები. სკოლას მიეცა რჩევა: სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში სასურველია, იყოს გაწერილი ღონისძიებების შესაბამისი რესურსები.

შესაბამისად, შეგვიძლია, ვთქვათ, რომ **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- ✓ სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ✓ სკოლის სტრატეგიული გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას. აღნიშნული დოკუმენტის მ მე-11 მუხლი მოიცავს ეთმობა სკოლის მიერ შემუშავებული სკოლის სტრატეგიული და განვითარების ერთწლიანი გეგმების გადახედვა/შეფასებასაც, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს ხდება.

შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**



2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

სკოლას სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია შემუშავებული აქვს 2024 წლის იანვარში - ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის ივნისში, . შესაბამისად ვიზიტის პერიოდში აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული განვითარების (2023-2030 წწ) და სამოქმედო გეგმის (2023-2024 წ.) შესრულების მონიტორინგი და შეფასება ჯერ განხორციელებული არ იყო.. თუმცა, გამგეობის თავმჯდომარის თქმით, ივლისში აპირებდნენ განხორციელებას.

შესაბამისად, შესაძლებელია, ვთქვათ, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა.

სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ანგარიშის სახით არ ქვეყნდება სკოლის ვებგვერდზე, რაც ვერ უზრუნველყოფს მის საჯაროობას.სკოლამ წარმოადგინა ახალი შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად (02.09.2024 - 09.09.2024) პერიოდი.

შესაბამისად, ინდიკატორის მოთხოვნები მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლა წარმომადგენლები ვიზიტის პროცესში აღნიშნავდნენ, რომ ციკლური გეგმის მონიტორინგი და შეფასება ღირებულია არა მხოლოდ განვლილი პერიოდის გააზრება-შეფასებისთვის, არამედ შემდეგი ციკლის ეფექტური და ეფექტიანი დაგეგმვისთვის, რაც, თავის მხრივ, სკოლის განვითარების ქვაკუთხედად უნდა იქცეს. სკოლას დღეს არსებული პრაქტიკით, შედეგების გათვალისწინება მომავალი წლის გეგმისათვის ფრაგმენტულია.

სკოლას ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის მექანიზმი აღწერილი აქვს სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის პირველ თავში. შესაბამისად, სკოლას აქვს მეთოდოლოგიური საფუძველი სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

შესაბამისად, შესაძლებელია, ვთქვათ, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ 2023-2024 ს/წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030 წწ;
- ✓ მეთოდოლოგია სტრატეგიული გეგმის ;

შეფასება:

- ვთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

“სტრუქტურული და სამტატო ერთეულების კომპეტენცია და საქმიანობის წესი განისაზღვრება წესდებით, შინაგანაწესით და შრომითი ხელშეკრულებით, წერია “სტრუქტურის” “ დოკუმენტში. თუმცა, წესდებაში და შინაგანაწესშიც არ არის სამუშაო აღწერილობები ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტზე, ინკლუზიური განათლების პროგრამის ხელმძღვანელზე, არტთერაპევტზე და ბიბლიოთეკარზე. სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების სამტატო ერთეულები განსაზღვრულია სამტატო

ნუსხით, რომელიც შემუშავებული და დამტკიცებულია ა(ა)იპ ცისარტყელას გამგეობის 2023 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით. ა(ა)იპ “ცისარტყელას” გააზრებული აქვს, რომ სკოლის ეფექტიანობას განაპირობებს სკოლაში ყველა დასაქმებული პირის კოორდინირებული, შეთანხმებული საქმიანობა. სკოლაში ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურა, რომელშიც ნათლად ჩანს სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა. შეიძლება ითქვას, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: უმაღლეს ორგანოს - კავშირის საერთო კრებას, შემდეგ გამგეობას. გრაფიკულად ერთნაერ - “შუალედურ” დონეებზეა სკოლის პედაგოგიური კონფერენცია, ხარისხის მართვის ჯგუფი, სკოლის ადმინისტრატორი და ექიმი, საბოლოო ქვედა დონეზეა: ბიბლიოთეკარი, მასწავლებლები და სკოლის ტექნიკური პერსონალი. ცოტათი განსხვავებული სტრუქტურით არის წარმოდგენილი სკოლის შინაგანაწესში სკოლის სტრუქტურა: “მუხლი 5.4. სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ და საშტატო ერთეულებს: ა(ა)იპ. „ცისარტყელა - საგურამოს ვაჟა-ფშაველას სახელობის საბუნებისმეტყველო სკოლის“ წევრთა საერთო კრება, გამგეობა, სკოლის პედაგოგიური კონფერენცია, მასწავლებელი, სკოლის ადმინისტრატორი, ხარისხის მართვის ჯგუფი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, ბუღალტერი, ტექნიკური პერსონალი.”

შესაბამისად, შესაძლებელია, ვთქვათ, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სკოლის სტრუქტურაში, სკოლის დებულებასა და სკოლის შინაგანაწესში გაწერილი სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია/მოვალეობების, საშტატო განრიგის და EMIS -ის მონაცემების (პერსონალის შესახებ) მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/ პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები განაწილებულია, არ ხდება ფუნქცია - მოვალეობების დუბლირება. სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მთლიანობაში სრულად მოიცავს ყველა იმ სფეროსა და არეალს, რომლებიც სკოლის ძირითად საქმიანობას და სტრატეგიული მიზნების შესრულებას უკავშირდება და უზრუნველყოფს სკოლის ძირითად, მმართველობით და დამხმარე პროცესების მართვას.

შესაბამისად, შესაძლებელია, ვთქვათ, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის წესდება;
- ✓ შინაგანაწესი;
- ✓ სტრუქტურა;

✓ ხელშეკრულება; .

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად: სკოლას გააზრებული აქვს, რომ ადამიანური რესურსების მართვის პროცესები სკოლაში უკავშირდება მასწავლებლებს, სხვა დასაქმებულ პირს რომელთა კოორდინირებული, შეთანხმებული საქმიანობაც განაპირობებს სკოლის ეფექტიანობას.

სკოლას შინაგანაწესი შექმნილი აქვს შესაბამისი კანონმდებლობის დაცვით. მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებაში არის ჩანაწერი, რომ მოსწავლის მშობელი იცნობს შინაგანაწესს და ადასტურებს ხელმოწერით, ასეთივე ჩანაწერია თანამშრომელთა ხელშეკრულებაშიც. სკოლის საქმიანობა შეიძლება შეფასდეს სტანდარტის მოთხოვნასთან შესაბამისი.

შესაბამისად, შესაძლებელია, ვთქვათ, რომ აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ინდიკატორი გულისხმობს, საჭიროებებზე დაფუძნებული სკოლის პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ვიზიტის დროს პერსონალთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა შემდეგი: სკოლის

დირქტორთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ პერსონალის შერჩევის პროცედურის დაწყებამდე აღწერენ სამუშაოს, ხდება იმის იდენტიფიცირება, თუ რა კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს ეს სამუშაო დასაქმებულს. მაგრამ სკოლა ვერ უზრუნველყოფს პერსონალის ინტერვენციული მართვას. საჭიროებისამებრ, დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში სკოლა ვერ უზრუნველყოფს მისი ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალებს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი. სკოლას არ ჰყავს ე.წ. თავისუფალი ადამიანური რესურსი, რომელიც მასწავლებლის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში მოახდენს მის ჩანაცვლებას - გეკვეთილის/გაკვეთილების ჩატარებას. სკოლას მიეცა რჩევა, მოახდინოს ე. წ. შემცველი მასწავლებლის აყვანა, რომელიც შეძლებს ძირითადი მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ჩანაცვლოს ის ან შესაძლებელია სკოლამ მოახდინოს საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირება, თუმცა სკოლის სტრუქტურიდან გამომდინარე ეს ტექნიკურად უფრო რთული იქნება... ასევე, რჩევის სახით, დაწესებულებამ მასწავლებელთა შეცვლა - გაცვლა- ჩანაცვლება უნდა გაააკონტროლოს ჩანაწერებით ან სპეციალური ჟურნალი აწარმოოს ამ პროცესის დასაფიქსირებლად. .სკოლამ წარმოადგინა ახალი შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია ვადად (06.06.2024 - 06.06.2025) აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად

შესაბამისად, ინდიკატორი მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3 პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას

ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით;

სკოლაში ვიზიტით დადასტურდა, რომ ღია კონკურსის წესის ჩასატარებლად იქმნება საკონკურსო კომისია, განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები. კონკურსი ცხადდება ვებგვერდზე - <https://teacherjobs.ge/>, სადაც აპლიკანტები წარმოადგენენ განაცხადს. კონკურსის პირველ ეტაპზე ხორციელდება აპლიკანტთა დოკუმენტაციის გადარჩევა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან მიმართებაში; მეორე ეტაპზე აპლიკანტებს იწვევენ კომისიასთან გასაუბრებაზე, სკოლაში საკონკურსო კომისიის ოქმებში ფიქსირდება გადაწყვეტილება, რასაც ადსტურებენ კომისიის წევრები ხელმოწერით, თუმცა არ ჩანს მსჯელობა სეჩეული კანდიდატის შესახებ, რაც გვიზღუდავს საშუალებას, წარმოვიდგინოთ, რამდენად ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების დაცვით მოხდა გადაწყვეტილების მიღება.

შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4 პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო

მოთხოვნებს;

უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს, დოკუმენტების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა რომ სკოლის ექიმს ჰქონდა შესაბამისი კვალიფიკაცია. ასევე სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს ნასამართლობის შესახებ ცნობა პირად საქმეში, ასევე ყველა თანამშრომელს აქვს: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა.



თუმცა, სკოლაში მოქმედი პერსონალის ნაწილის - მასწავლებელთა კვალიფიკაციის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან დარღვეულია. გერმანული ენის მასწავლებლის გარდა, არცერთ მასწავლებელს არა აქვს სტატუსი. ისინი გაფორმებულნი არ არიან “მოწვეულ” მასწავლებლად და მათი საათობრივი დატვირთვაც ცხრა საათზე მეტია! სკოლის ადმინისტრაციას გააზრებული აქვს, რომ პერსონალის კვალიფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს დაკავებულ პოზიციას. ამიტომ ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისას ხაზგასმით უთითებენ შესაბამის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. მაგრამ ძირითადად, უკვე დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; დაწესებულებამ შესაბამისობის გეგმაში წარმოადგინა შეუსაბამობაში: “ 3.1.2.4. ინდიკატორი - მასწავლებელთა კვალიფიკაცია არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას”, რომლის შესაბამისობად დააფიქსირა: “კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა “და საბოლოო ვადად 2024 წლის 25 დეკემბრამდე პერიოდი. ექსპერტებმა გაითვალისწინეს სკოლის არგუმენტული პოზიცია. სკოლას მიეცა რეკომენდაცია: *სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში - აწლის 25/12/-მდე მასწავლებლებს დასაქმება კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მოთხოვნის შესაბამისად. სკოლამ წარმოადგინა ახალი შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული ხარვეზის აღმოსაფხვრელად ვადად (06.06.2024 - 06.06.2025);*

შესაბამისად, ინდიკატორი ფასდება როგორც მეტწილად შესაბამისი.

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

ა(ა)იპ ცისარტყელას მიერ წარმოდგენილი მასწავლებლის შერჩევის პროცედურა (კომისიის შექმნა გასაუბრება, გადაწყვეტილების მიღება), პედაგოგიური კონფერენციის ოქმები, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სკოლის ფილოსოფიის გადახედვა - ნათელი მაგალითია იმისა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპები. სკოლაში არის გაზიარებული ლიდერობა და სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლა ცდილობს წახალისოს თანამშრომელთა წარმატებული საქმიანობა, რაც არ ატარებს მხოლოდ მორალური წახალისების ხასიათს. ვიზიტისას სკოლის ადმინისტრატორმა წარმოადგინა საახალწლო პრემია თანამშრომლებზე გაცემული. სასკოლო საზოგადოების საქმიანობაში მიღწევების, გამარჯვების, წარმატების აღიარება და წარმოჩენა ხორციელდება, როგორც სკოლის სოციალურ გვერდზე, ისევე ყოველკვირეულ სასკოლო კონფერენციებზე.

აღნიშნული მდგომარეობისათვის სკოლის საქმიანობა შესაბამისია ინდიკატორის მოთხოვნისა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- ✓ Teachersjobs.ge- ზე ვაკანსია;
- ✓ მშობელთა ხელშეკრულებები;
- ✓ Eschool- ის ბაზა - პერსონალის მონაცემები;
- ✓ სკოლის საათობრივი დატვირთვა - 2023-2024 სასწავლო წლის - საათობრივი ბადა;
- ✓ ვაკანსიის ბრძანებები;

შეფასება:

- ვთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებას ა(ა)იპ ცისარტყელა უზრუნველყოფს სკოლაში დანერგილი ე.წ. “ხარისხის ჯგუფის” მუშაობით. მასწავლებლები ერთმანეთს ესწრებიან საგაკვეთილო ან არაფორმალურ აქტივობებზე დასწრების ფორმით. სკოლას შემუშავებული აქვს გაკვეთილის დაკვირვების რუბრიკა, თვითშეფასებისა და უკუკავშირის კითხვარები/ფორმები.

პედაგოგებთან გასაუბრებით ჩანს, რომ ისინი ყოველი კვირის ბოლოს ხვდებიან ერთმანეთს პედაგოგიურ კონფერენციაზე, სადაც ხდება უკუკავშირის სიტყვიერი გაზიარება, წარმატებული მაგალითების გათვალისწინება. დაწესებულებას აქვს ცალკე შემუშავებული დოკუმენტის სახით: “სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკა”. აქვს მასწავლებლის სასწავლო წლის ბოლოს საქმიანობის ანგარიშის - რეფლექსიის სახით ფორმა.

შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

სკოლაში არ არსებობს პერსონალის განვითარების მკვეთრად ჩამოყალიბებული გეგმა, რაც საჭიროებების კვლევის შედეგად იქნებოდა შემუშავებული. სკოლის ხელმძღვანელობა აცნობიერებს ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების პროცესში პერსონალის განვითარების სტრატეგიისა და გეგმის მნიშვნელობას. ამიტომ, მიმდინარე სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისა და მთლიანად პროცესების შეფასების შემდეგ, მოსწავლეთა აკადემიური შედეგებზე დაკვირვებით და მასწავლებელთა მოსაზრებების საფუძველზე შემუშავდება გეგმა. აღნიშნული სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვალდორფის სკოლებს ჰქონდათ ორწლიანი გადამზადების სემინარი, რომელიც გავლილი აქვთ ყველა დასაქმებულ მასწავლებელს. ასევე, ხშირია საერთაშორისო გადამზადების პრაქტიკაც.

შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლის დირექციას აქვს წარმოდგენილი, რამდენად უნდა უწყობდეს ხელს პერსონალის კარიერულ ზრდას; სკოლის პედაგოგები, თუ სხვა პერსონალი აქტიურად მინაწილეობენ სხვადასხვა პროგრამისა თუ პროექტის ფარგლებში ტრენინგებში, შეხვედრებსა თუ ფიკუს-ჯგუფების სამუშაო პროცესში. აღნიშნული პროცესი სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან წახალისებული და მხარდაჭერილია.

პროფესიულ განვითარებაში შეძლებისდაგვარად ეწყობა ხელი არა მხოლოდ მასწავლებლებს, არამედ დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, აღნიშნული მიმართულებით აქტივობები გაწერილი აქვს სკოლას ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და არსებულ ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლა ხელს უწყობს და უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლის სქმიანობა ეყრდნობა ადამიანური რესურსების მართვის მხრივ არსებულ კანონმდებლობას. როგორც სკოლის თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს და ვიზიტის დროსაც გამოიკვეთა, რომ სკოლაში ყველა თანამშრომელს თანაბარი შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლის რესურსით. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება; სკოლის პერსონალს აქტიურად მიეწოდებოდა ყველა საჭირო ინფორმაცია, როგორც პროფესიული განვითარების შესაძლებლობის, ისე სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლაში წახალისებულია არაფორმალური ურთიერთობების ინიციატივები, რაც თავის მხრივ ამტკიცებს თანამშრომელთა ჯანსაღ, კოლეგიალურ პარტნიორობას ფორმალურ საქმიანობაში. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

ინდიკატორის მოთხოვნა- წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები., გულისხმობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას. სკოლას წახალისების ფორმები გაწერილი აქვს შინაგანაწესში (მე-10 მუხლი).

სკოლის დირექტორის თქმით, წახალისების ფორმები დამოკიდებულია არსებულ ბიუჯეტზე და სკოლის ეკონომიკურ შესაძლებლობებზე. სკოლაში პედაგოგებთან და სხვა თანამშრომლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ პერსონალი იღებს პოზიტიურ სტიმულს, როგორც დირექციისა და მასწავლებელთა ინტერვიუდან გამოიკვეთა, მაგალითად, სკოლამ უზრუნველყო მასწავლებლის მოტივაციისა და საჭიროებიდან გამომდინარე ტრენინგი, გამოუცხადა მადლობა, გადასცა მადლობის სიგელები, საახალწლო პრემია და სხვა.. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ სკოლის ორგანიგრამა;
- ✓ სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- ✓ სკოლის დირექტორის ბრძანება პრემიაზე;
- ✓ სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შეესაბამება

- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;



ა(ა)იპ ცისარტყელას შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია განვითარების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, შეფასება და განვითარება.

სკოლის შიდა შეფასების პროცესი მოიაზრებს შემდეგ ეტაპებს: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით ხარისხის მუდმივი სრულყოფა გულისხმობს სასწავლო და ადმინისტრირების პროცესების გაუმჯობესებას რეგულარული ან მუდმივი შემოწმების გზით, რისთვისაც სკოლის მიერ გამოყენებული უნად იყოს მონაცემთა ანალიზი. სკოლის ხარისხის განვითარება ფასდება სკოლის საქმიანობის შედეგის ექვს მნიშვნელოვან ინდიკატორზე დაფუძნებით: 1. მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება; 2. არსებული სასწავლო პროგრამების და სადამრიგებლო გეგმების მუდმივი მონიტორინგი, განახლება, მოდიფიცირება; 3. პოზიტიური უსაფრთხო საკლასო/სასკოლო გარემო; 4. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება; 5. კომუნიკაცია სასკოლო საზოგადოებასთან. მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების და თემის წევრების სკოლისადმი განწყობების შესწავლა. სკოლაში დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო აქტივობების ხარისხით მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევა; 6. სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისობა საკანონმდებლო აქტებთან, განათლების პოლიტიკასთან. სკოლის საქმიანობის მარეგულირებელი აქტების ეფექტიანად დანერგვა/ამოქმედება.

სკოლის ადმინისტრაციის მიერ ამ პროცესების უზრუნველყოფისათვის აწარმოებს მოსწავლეთა შედეგების სტატისტიკას, აანალიზებს მასწავლებელთა ანგარიშებს, რის შედეგადაც ხდება არსებული პროცესების შეფასება, საჭიროებების იდენტიფიცირება შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ორგანიზაციის წესდება, შინაგანაწესი არეგულირებს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობას, მის მართვის პრინციპებსა და წესებს. მართვის პრინციპები უზრუნველყოფს შემდეგს: გამგეობის გადაწყვეტილებების, დირექტორის ბრძანებების საჯაროობასა და მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისათვის, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა; მასწავლებელთა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში;



მოსწავლეთა მიმართ თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის ეთნიკური წარმომავლობისა, სქესის, სოციალური წარმოშობისა, პოლიტიკური თუ რელიგიური შეხედულებებისა და სხვა; კონკურსების და სხვადასხვა პროექტების საჯაროობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას; მოსწავლეებისათვის ჯანმრთელი, უსაფრთხო, მზრუნველი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნას.

სკოლას ასევე გაწერილი აქვს სკოლის სტრუქტურა. საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესები. სტრატეგიული მიზნების მიხედვით, დასახული ამოცანების შესასრულებლად გაწერილია აქტივობები (ვადებისა და პასუხისმეგებელი პირების გათვალისწინები), რის საფუძველზეც შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია და აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3 სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ცალკე დოკუმენტად “ განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი”. რომლის მე-3 თავი მთლიანად ეთმობა პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვას :

“მუხლი 14. თანამშრომელთა, მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა და მოსწავლეთა საჩივრის განხილვის წესი უფლების დარღვევის შემთხვევაში

14.1 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შემთხვევაში მოსწავლეს, თანამშრომელს და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს წერილობითი საჩივრით მიმართოს სკოლას ერთი თვის განმავლობაში იმ მომენტიდან, რაც მისთვის ცნობილი გახდა უფლების დარღვევის შესახებ.

14.2 სკოლის მოსწავლის მიმართვა შეიძლება ეხებოდეს მოსწავლის უფლებების დარღვევას მასწავლებლის, სხვა მოსწავლის, სკოლის რომელიმე თანამშრომლის მხრიდან უკანონო ქმედებას.

14.3

მოსწავლეს აქვს უფლება წარადგინოს მიმართვა დამოუკიდებლად, ან მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ერთად. მიმართვა უნდა იყოს კეთილსინდისიერი და ემსახურებოდეს სიმართლის დადგენას.

14.4 უფლების დარღვევის თაობაზე საჩივარი განიხილება საჩივრის შეტანიდან 1 (ერთი) თვის ვადაში. “ ასევე დაცვის მექანიზმებია სკოლის შინაგანაწესშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4 სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

პერსონალისა და მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია სკოლის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებებში. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები კი განსაზღვრულია მოსწავლის მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებით. შინაგანაწესით გაწერილია ასევე პერსონალის სამუშაოზე აყვანის პროცესში, თანამშრომლისთვის და მშობლებისათვის მათი უფლება-მოვალეობების და შიდასაკოლო რეგულაციების გაცნობის ვალდებულება. პერსონალისა და მშობლების/მოსწავლეთა კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვას ასევე უზრუნველყოფს სკოლაში შემუშავებული საჩივრების განხილვის სისტემა, რომლის თანახმად მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს უფლება აქვთ, თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად გაასაჩივრონ სკოლის პერსონალის არამართლობიერი ქმედებები, ასევე, სკოლის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, თუ მიაჩნიათ, რომ ილახება საქართველოს კანონმდებლობით ან/და სკოლის შიდა რეგულაციებით მათთვის გარანტირებული უფლებები

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- ✓ განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი
- ✓ სკოლის შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლის შინაგანაწესის, მშობლებთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი მიზნები: მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, აქტივობების და სხვა მიმდინარე მოვლენების თაობაზე; მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე. დროულად მიაწოდოს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ინფორმაცია მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე; როგორც დაწესებულების თვითშეფასებაშიც არის ჩანაწერი ;” სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლას აქვს სოც. გვერდი და ვებგვერდი, სადაც ქვეყნდება ყველა ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის, ღონისძიებების, სიახლეების შესახებ. „კლასის მასწავლებლებს“ შექმნილი აქვთ ჯგუფები და მესენჯერის საშუალებით მუდმივი კავშირი აქვთ მშობლებთან, აქვე იღებენ უკუკავშირს მშობლებისა და მოსწავლეებისაგან, აწყობენ პირისპირ შეხვედრებს მშობლებთან. ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა სკოლიდან მიიღოს ინფორმაცია და განახორციელოს უკუკავშირი.”

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2 უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა. სასკოლო საზოგადოების, დაინტერესებული პირების ჩართულობა სკოლის მართვის პროცესებში მათი აზრის გათვალისწინება მნიშვნელოვანია სკოლის წარმატებისათვის. სკოლის ადმინისტრაციისგან მუდმივად ისმევა კითხვა სკოლაში ცვლილებების საჭიროებებისა და ინიციატივების შეავაზების შესახებ. ბოლო მაგალითი და მათ მიერ შეთავაზებული ინიციატივა იყო პანდემიის დროს სკოლას ისევ კონტაქტურად გაეგრძელებინა მუშაობა. ხშირად სკოლა მოსწავლეების სურვილების გათვალისწინებით გეგმავს ექსკურსიებს, აქტივობებს და ა.შ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის შინაგანაწესი
- ✓ სკოლის დებულება

შეფასება:

- ვთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- შეესაბამება
 - მეტწილად შეესაბამება
 - ნაწილობრივ შეესაბამება
 - არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;



6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);

-სკოლაში სასკოლო საზოგადოებისთვის შექმნილია უსაფრთხო გარემო , შენობა აღჭურვილია შიდა და გარე პერიმეტრზე სათვალთვალ კამერებით, სახანძრო ინვენტარით, კვამლის დეტექტორებით. ბრძანებით განისაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი. გამოყოფილია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ტარდება საკლასო და სასკოლო აქტივობები შემდეგ საკითხებზე: ძალადობის, ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციის, ბულინგის წინააღმდეგ, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მშობლის როლი სასკოლო ცხოვრებაში და სხვა. თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის, „112“-ის ცხელი ხაზის ნომერი, სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი, სკოლის ფსიქოლოგის ტელეფონის ნომერი. უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, სკოლის მიმართვას უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ და უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნას, ამაზე სკოლას დაწესებული აქვს მუშაობა . სკოლამ წარმოადგინა 18/06/2024 №687587 წერილი, რომელიც მცხეთა- მთიანეთის რესურცენტრიდან მიიღო. წერილი ეხებოდა უსაფრთხოებისა და დაცვის წესისა და პირობების შეთანხმების საკითხს, სადაც ჩამოთვლილიყო ის პუნქტები, რომლის გამოსწორების შემდგომ სკოლა უმოკლეს ვადაში შეათანხმებს აღნიშნულ წესს.



- სკოლის შენობა და ტერიტორიის პერიმეტრი აღჭურვილია საჭირო რაოდენობის ვიდეო სათვალთვალო კამერებით. მონიტორინგი ხორციელდება დაწესებულების სრულ პერიმეტრზე. ვიდეო ჩანაწერის ჩვენება ხდება მონიტორზე, რომლის მუშაობას მუდმივად აკვირდება სპეციალურად გამოყოფილი პირი.
 - სკოლის ეზო შემოღობილია და დაცულია უცხო პირთა შესვლისგან; სკოლას არ ჰყავს დაცვის თანამშრომელი არც დარაჟი, სკოლის ეზოს კარი იკეტება და მუშაობს ზარი.
 - **სკოლა არ აწარმოებს ვიზიტორთა ჟურნალს; ამასთან დაკავშირებით სკოლას მიეცა რჩევა.**
 - დაწესებულებას ჰქონდა საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრები (გადამუხტული);
 - დაწესებულებამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების დასკვნა:
 - **სკოლამ წარმოადგინა ა/წლის 11 ივნისის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს #50003348524 დასკვნა შენობის მდგრადობაზე საკადასტრო კოდზე : 7206.13.106.704 ; დასკვნის თანახმად, შენობა უსაფრთხოა;**
 - სკოლამ ვიზიტის დროს წარმოუდგინა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.
- სკოლის პირველ სართულზე განთავსებული იყო ექიმის კაბინეტი, რომელიც პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ შესაბამის მოთხოვნებს. ოთახში არის ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა, სველი წერტილი ნიჟარით. კაბინეტში განთავსებულია შემდეგი ინვენტარი: სამუშაო მაგიდა, სკამები, მაცივარი, სასწორი, საათი, სამედიცინო ტახტი, კარადა, გადასატანი/მობილური ტახტი (ტაფჩანი), კარადა, სადაც განთავსებული იყო პირველადი მოხმარების მედიკამენტები, პაციენტის გასინჯვის პრივატულობის უზრუნველსაყოფად გამყოფი შირმა. ექიმმა წარმოადგინა გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა და სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი.
- ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივ 2022 წლის 21 მარტის ბრძანების №41/ნ/01-23/ნ გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
- ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი/შრომის უსაფრთხოების ოფიცერი.
- ასევე სკოლამ წარმოადგინა დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე შესაბამის უწყებასთან მიწერილობა.**
- სკოლამ შეათანხმა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შესაბამის უწყებასთან, რაც დაადასტურა 28/06/2024 წლის № MIA 9 24 01931653 წერილით) . ასევე წარმოადგინა დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ (სამხარაულის ბიუროდან) .**
- ვინაიდან სკოლამ აღნიშნული აქტივობები შეასრულა, ექსპერტებმა სრულად გაიზიარეს სკოლის პოზიცია:

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;



სკოლა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად ხელმძღვანელობს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და პირობებით; სკოლაში შემუშავებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი, რომლის თანახმადაც უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელია კლასის ძირითადი მასწავლებელი, ექიმის რეკომენდაციის შემთხვევაში, არ ხდება მოსწავლის გაკვეთილებიდან განთავისუფლება მშობლისთვის შეტყობინების გარეშე. მაქსიმალურად არის შეზღუდული სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირების დაშვება, სკოლაში გამოვლენილ ნებისმიერ დარღვევაზე ხდება მყისიერი რეაგირება. გარდა ამისა აღნიშნული ინფორმაცია მოსწავლეებს, მშობლებს მიეწოდება სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლის საათებზე და მშობელთა კრებებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

სკოლა კონცეფცია აგებულია ჰუმანურ პედაგოგიკაზე. სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფენ სასკოლო ცხოვრებაში ჩართული პირები, რომლებიც განახორციელებენ ძალადობის შემთხვევათა გამოვლენას და შესაბამის რეაგირებას. ყველა საგნის მასწავლებლის მუშაობა ფოკუსირებულია არა მარტო აკადემიური, არამედ ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე, მხარდაჭერილი მოსწავლეთა მხრიდან პრობლემებსა და გამოწვევებზე საუბარი, საჭიროების შემთხვევაში სკოლა რთავს საქმეში ფსიქოლოგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლას აქვს ყველა საჭირო ინვენტარი და ჰიგიენური საშუალება, რითაც სკოლაში მაქსიმალურად არის უზრუნველყოფილი სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა. სკოლაში გამიჯნულია ქალებისა და კაცების სველი წერტილები, არის ადაპტირებული სველი წერტილი, უწყვეტად მიეწოდება წყალი და განათება, აქვს ხელოვნური და ბუნებრივი ვენტილაცია, მუდმივად მარაგდება პირადი ჰიგიენის საშუალებებით (საპონი, ტუალეტის და ხელსახოცი ქაღალდი).



შენობის დავალიერების შედეგად დგინდება, რომ არსებული წესების გათვალისწინებით სკოლაში მიმდინარეობს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფა. აღჭურვილობა, დასუფთავების საშუალებები შენახულია წესის შესაბამისად, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

ა(ა)იპ ცისარტყელას მოსწავლეთა მშობლებსა და სკოლას შორის გასაფორმებელი ხელშეკრულებები მოიცავს რეგულაციებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, რომელიც აწესრიგებს პერსონალურ მონაცემთა სკოლის მიერ მონაცემთა დამუშავების საკითხებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6 სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს შემუშავებული და დამტკიცებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7 სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.



პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესში და მონიტორინგის მექანიზმებში გაწერილია მონაცემთა დაცვის მონიტორინგის ეტაპები და პასუხისმგებელი პირები: სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგი სისტემატურად ხორციელდება სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელიც ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, გააფრთხილოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ექიმის ხელშეკრულება
- ✓ სპეცმასწავლებლის ხელშეკრულება
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება
- ✓ პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
- ✓ ადმინისტრატორის ხელშეკრულება
- ✓ ხელშეკრულებები ტექნიკურ პერსონალთან
- ✓ საექსპერტო დასკვნა შენობა-ნაგებობის ტექნიკური მდგრადობის შესახებ;
- ✓ სახანძრო მიწერილობა;
- ✓ 28/06/2024; MIA 9 24 01931653 წერილი ;
- ✓ ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების ოფიცერთან და მისი სერტიფიკატი;
- ✓ რესურსცენტრის წერილი;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შეესაბამება

მეტწილად შეესაბამება



- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ა(ა)იპ ცისარტყელა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ სართულიან შენობაში. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, სკოლის შენობა განთავსებულია 1097.კვ.მ ფართობის სასოფლო სამეურნეო ნაკვეთზე. შენობის საერთო ფართი - 495 კვ. მ -ია (ნაგებობა N1).. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია №72.06.13.106/704. სკოლის შენობა დაწესებულებას გადმოცემული უზუფრუქტის სარგებლობის უფლებით 01/01/2050 წლამდე. სკოლაში სულ 6 საკლასო ოთახია, რომელთაგანაც ყველას აქვს ბუნებრივი განათება. საკლასო ოთახებში ერთადგილიანი მერხები და სკამებია, მასწავლებლებისათვის განკუთვნილი მაგიდა და სკამი, დაფები და სხვა სასწავლო ინვენტარია



განთავსებული. სკოლის შენობაში არის საერთო ღონისძიებებისათვის განკუთვნილი დარბაზი, სასადილო, ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის კაბინეტი და სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა და სხვა დამხმარე სივრცეები. ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2 დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლის ინფრასტრუქტურა და სკოლაში არსებული ყველა რესურსი, ბიბლიოთეკა, ღია სპორტული მოედანი, ისევე, როგორც რეკრეაციული სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის. აქვს კიბეებზე ხის დასაკეცი რელსები, სპეციალური ზედაპირით, რათა არ მოხდეს ეტლის მოსარგებლე შშმ პირის ჩაცურება. ყველა კარების ღიობი სტანდარტულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3 სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;

სკოლაში არის ბიბლიოთეკა, ასევე შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი. სკოლას აქვს როგორც გრიფინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურის საცავი. წიგნები დამუშავებულია ბიბლიოთეკის წესის და მიხედვით. ელექტრონული კატალოგი მზადების ეტაპზე იყო ვიზიტის პერიოდში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლას აქვს პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი, საერთო სარგებლობის სივრცე, რომლებიც ქმნიან ინკლუზიურ გარემოს და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლას აქვს ეზო, ღია სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, ინტერნეტი, პროექტორი, სარეკრიაციო სივრცე. სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა კულტურული, სპორტული, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების სასკოლო საზოგადოების, მშობლების, თემის წარმომადგენლების ჩართულობით ჩატარების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ✓ შენობის აზომვითი ნახაზი;
- ✓ ინვენტარიზაციის აქტი;
- ✓ მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

შეესაბამება

მეტწილად შეესაბამება

ნაწილობრივ შეესაბამება

არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

- 1 ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლა აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. დაწესებულებამ წარმოადგინა 8 ლეპტოპისა და 3 კომპიუტერის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული კომპიუტერებიდან ორი კომპიუტერი განთავსებულია ადმინისტრაციაში. ბიბლიოთეკაში სამუშაოდ არის ცალკე ლეპტოპი და პრინტერი. სკოლას აქვს პროფესიული ქსეროქსი, ასევე სამი პრინტერი სკანერით და ქსეროქსის ფუნქციით. სკოლას აქვს პროექტორი. სკოლას არა აქვს ცალკე აიტი ლაბორატორიის კაბინეტი. მასწავლებლის გადმოცემით ლეპტოპები შეაქვთ აიტის გაკვეთილებზე. წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციისა და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

- 2 ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლის IT ინფრასტრუქტურა ფუნქციონირებს გამართულად. სკოლას ადმინისტრაციისთვის, მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის გააჩნია საჭირო რაოდენობის კომპიუტერი, პროექტორი, არის ინტერნეტი, სკოლის მოსწავლეებს და პერსონალს შესაძლებლობა აქვთ შემუშავებული წესისა და განრიგის შესაბამისად ისარგებლონ აღნიშნული რესურსით, როგორც სასწავლო პროცესის დროს, ასევე სასწავლო პროცესის შემდეგ. მასწავლებელს აქვს საშუალება საკლასო ოთახში შეიტანოს ლეპტოპი, პროექტორი და განახორციელოს კომპლექსური თუ სხვა დავალებით გათვალისწინებული აქტივობები, როგორცაა ინფორმაციის მოძიება, ვიზუალური მასალის ჩვენება, პრეზენტაციის გამართვა და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ ინვენტარიზაციის აქტი
- ✓ ინტერნეტით მომსახურების ხელშეკრულება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ა(ა)იპ ცისარტყელაში საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის ადმინისტრატორი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. ადმინისტრატორი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებული ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო 3 სახის ჟურნალი: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2 სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;



სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. ჯერ-ჯერობით აღნიშნული დაწესებულება არ იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემას Eflow-ს. მაგრამ სკოლის მოსწავლეთა და თანამშრომელთა ინფორმაციის დეტალურად ასახვა ხდება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. აღნიშნულ სისტემაში ხორციელდება ასევე მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის შესახებ ინფორმაციის ასახვა. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის მიღება-გავრცელებისათვის სკოლა აქტიურად იყენებს საკუთარ ელექტრონულ ფოსტას, ვებგვერდს და სკოლის სოციალური ქსელის გვერდს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3.სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემოწმების შედეგად დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, როგორც მოსწავლეთა, ისე თანამშრომლებთან მიმართებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4 სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ექსპერტთა მიერ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. ანგარიშების წარდგენა შესაბამის სტრუქტურებთან ხდება ვადებისა და პროცედურების დაცვით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ საქმის წარმოების წესი;
- ✓ ადმინისტრატორის შრომითი ხელშეკრულება
- ✓ სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
- ✓ ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას



1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

საზოგადოების ეფექტური ინფორმირებისთვის სკოლა იყენებს ვებგვერდს <https://www.saguramonatureschool.edu.ge/>, ასევე სკოლის სოციალური ქსელის გვერდს <https://www.facebook.com/profile.php?id=100063566620856>, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია სკოლის სიახლეებისა და მიღწევების შესახებ. სკოლას აქვს ასევე ელექტრონულ ფოსტა saguramonatureschool@gmail.com და ელექტრონული ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი

ინფორმაციის გავრცელებას. სკოლის ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსება ხდება პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დაცვით. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესით. სკოლის ვებგვერდზე, facebook გვერდსა თუ საინფორმაციო დაფებზე განთავსებული ინფორმაცია მუდმივად განახლებადია ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

სკოლის მიზანია, სკოლის ვებგვერდის, სოციალური ქსელის და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ეფექტური ურთიერთობა დაამყაროს სასკოლო საზოგადოებასთან და იზრუნოს მის შენარჩუნებაზე. ამ მიზნით სკოლა საზოგადოებასთან შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს საკუთარ ვებგვერდს <https://www.saguramonatureschool.edu.ge/>, ელექტრონულ ფოსტას და ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელში. სკოლის ელექტრონული ფოსტა გამიზნულია ინფორმაციის სწრაფად და გავრცელებისა და უკუკავშირის მიღებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

ა(ა)იპ ცისარტყელას აქვს საკუთარი საკუთარ ვებგვერდი <https://www.saguramonatureschool.edu.ge/>, რომელზეც განთავსებული ინფორმაცია ქართულად და ინგლისურად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

დაწესებულების ვებგვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ხელმისაწვდომია სკოლის სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი და სხვ,

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის ვებ. გვერდი: <https://www.saguramonatureschool.edu.ge>
- ✓ ფეისბუკ-გვერდი: <https://www.facebook.com/profile.php?id=100063566620856>
- ✓ სკოლის ელ.ფოსტა saguramonatureschool@gmail.com

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი. ასევე, სკოლის ძირითადი დაფინანსების წყაროა მშობელთან დადაებული ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებული და დადგენილი სწავლის გადასახადი. დაფინანსების წყაროები ასახულია სკოლის ბიუჯეტში და მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვის პრაქტიკა. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს. წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსური სახსრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის ბიუჯეტი;
- ✓ ინვენტარიზაცია;
- ✓ სამტატო ნუსხა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

შეესაბამება

მეტწილად შეესაბამება

ნაწილობრივ შეესაბამება

არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;**

წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ დაწესებულების პერსონალი მუშაობს მოსწავლეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად. სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია მიმდინარე სასწავლო გეგმაში და შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი, - ცალკე მუხლებად გამოყოფს: მოსწავლის წახალისების ფორმები და გამოყენების წესს; ცალკე მე11 თავია მოსწავლის წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებანი. სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითად იქნა შესწავლილი მოსწავლეთა პირადი საქმეები სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის დროს, აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა პირად საქმეში დაცულია: მოსწავლის კლასის დამრიგებლის მოხსენებითი ბარათი, მშობლის განცხადება საზღვარგარეთ ოჯახის გადასვლასთან დაკავშირებით, რის საფუძველზე სკოლის დირექტორს გამოცემული აქვს ბრძანება და საბოლოო შედეგი სტატუსის შეჩერება ასახულია eschool- ში.

სკოლამ წარმოადგინა სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან მიმდინარე სასწავლო წელს გაფორმებული ხელშეკრულები, სადაც გაწერილი იყო დეტალური ვალდებულებები და უფლებები ორივე მხრიდან, როგორც დაწესებულების, ასევე მოსწავლის/მშობლის .

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლის - მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესით, რომლებიც საჯაროა, განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მშობლის ხელშეკრულებაშიც გაწერილია, რომ იგი აცნობს მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მათ უფლებებსა და მოვალეობებს . სასწავლო წლის დაწყების პირველ კვირაში (ხოლო მოსწავლის გადმოსვლის შემთხვევაში დაუყოვნებლივ), რაც დასტურდება მშობლის ხელმოწერით. მასწავლებლები და დირექცია აქტიურად თანამშრომლობენ მოსწავლეთა მსობლებთან და დროულად აცნობენ მათ შვილის სწავლა აღზრდასთან დაკავშირებულ ნებისმიერი პრობლემას, სემესტრის ბოლოს აცნობენ მათ (ინდივიდუალურად) შვილის აკადემიური



მოსწრების შესახებ, ყოველი გაკვეთილის გაცდენის ან გაკვეთილზე დაგვიანების მიზეზებს ადგენენ მათგან, საჭიროების შემთხვევაში უზავნიან მათ წერილობითი მოწვევას ან უკავშირდებიან ტელეფონით და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ სკოლის დებულება;
- ✓ მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;



4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

ა(ა)იპ ცისარტყელა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცესში ხელმძღვანელობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მის საფუძველზე შემუშავებული შიდასასკოლო რეგულაციით. . ექსპერტთა მიერ სკოლის დოკუმენტაციის (შინაგანაწესი, მშობლის ხელშეკრულება, განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი დასხვა..) გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ მასში გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი საკითხი. მათ შორის: სკოლის მოსწავლეთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის წესი, მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვა საყოველთაო რეგისტრაციის ამოწურვის შემდეგ, სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის წესი, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა და სხვა...

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა, მოსწავლის სტატუსის შეჩერება, მოსწავლის სტატუსის აღდგენა, მოსწავლის სტატუსის შეწყვეტა, კლასისა და საფეხურის დაძლევა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესი. წესები გაწერილია სკოლის შინაგანაწესშიც.

ექსპერტთა შეფასებით, სკოლის მიერ შემუშავებული ყველა წესი კანონმდებლობის შესაბამისია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ა(ა)იპ ცისარტყელა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებს. შემოწმდა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვასთან დაკავშირებით და დადგინდა, რომ პროცესი ხორციელდება ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სკოლა ახორციელებს ფასიან მომსახურებას, სკოლის განმარტებით, მომსახურების შესახებ ინფორმაციის გაზიარება ხდება მშობელთა კრებებზე, ხოლო მომსახურების პირობები გაწერილია ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ სკოლა განახლებულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლების მეშვეობით. სხვადასხვა პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება პირისპირ შეხვედრის სოციალური ქსელის დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს დააზუსტეს, რომ აქტიურად იყენებენ პირად შეხვედრებსაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის ვებ გვერდი;
- ✓ ინტერვიუს შედეგები;
- ✓ მშობელთან დადებული ხელშეკრულებები;
- ✓ საერთო ბრძანებები;
- ✓ Eschool ბაზა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

შეესაბამება

მეტწილად შეესაბამება

- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს. ა(ა)იპ ცისარტყელაში განაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ტრანზიციას ბალიდან სკოლაში ან სხვა სკოლიდან გადმოსული ახალი მოსწავლის

შემთხვევაში მის ადაპტაციას. ადაპტაციაში დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, მაგალითად - პირველ კლასში ჩარიცხული მოსწავლის მშობელს სწავლის დაწყებამდე უკავშირდება კლასის დამრიგებელი, ეცნობა. სკოლას შემუშავებული აქვს საკუთარი ფორმა შეფასების, სადაც მშობელი წერილობით ადასტურებს საკუთარ შვილზე ყველა საჭირო ინფორმას, მის ინტერესებს, დამახასიათებელ ქცევებს და სხვა.. ასევე დირექციის დახმარებით მშობელი და ახალი მოსწავლე ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, ეზოს, სასადილოს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

სკოლა ხელს უწყობს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, სკოლა აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ავეჯით, ასევე სკოლაში ფუნქციონირებს დამატებითი წრეები, სადაც მოსწავლე საჭიროების შემთხვევაში ფსიქოლოგისგან იღებს დამატებით კონსულტაციას. ხოლო კლასების მთავარი მასწავლებლები ე.წ. დამრიგებლები ყოველდღიურად უჭერენ ყველა მოსწავლეს მხარს მათი აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით: გეგმავენ განმავითარებელ თამშებს, ლაშქრობებს, ხელსაქმეს, სადაც ინტეგრირებულია აკადემიურ უნარებზეც მუშაობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლას შემუშავებული აქვს მექანიზმები, რომლითაც უზრუნველყოს მოსწავლეთა სათანადო კონსულტირებას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. კერძოდ, კლასის მრჩეველს ევალება დაეხმაროს მოსწავლეს აკადემიურ თუ სხვა პრობლემების გადაჭრაში, გააკონტროლოს ელექტრონული ჟურნალის წარმოება, დროულად აცნობოს მშობელს მისი შვილის სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შესახებ, მეთვალყურეობა გაუწიოს მოსწავლეებს მეცადინეობის დროს. თუ მოსწავლის აკადემიური მოსწრება დაბალია, უზრუნველყოს დამატებითი მეცადინეობების ჩატარება, რომელიც წინასწარ ცნობილი იქნება მშობლებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლა უზრუნველყოფს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების ხელმისაწვდომობას პასუხისმგებელი პირის გაცნობით. ასევე ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელშიც ატვირთულია ინფორმაცია არაფორმალური აქტივობების შესახებ, რომლებიც გამჭირვალეა. კლასის მთავარი მასწავლებელი სასწავლო წლის დასაწყისში აწვდის მშობლებს/მეურვეებს ინფორმაციას სასწავლო პროცესების ძირითადი საკითხების შესახებ (სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.). მოსწავლეები წინასწარ ინფორმირები არიან გაცდენების მოსალოდნელი შედეგებზე. მასწავლებლები და მოსწავლეები ერთად გეგმავენ ლაშქრობის მარშრუტებს, კულინარიულ აქტივობას. სკოლას აქვს ორიგინალური დაჯილდოვების სიმბოლოც - ემბლემის/ორდენის სახით, რომელიც შესანიშნავი მამოტივირებელია დაწყებითი საფეხურზე მყოფი მოსწავლეების.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

დაწყებით კლასებში არაფორმალური აქტივობები ამ სკოლის ზღვიერი მხარე: მაგალითად ხატვა ტარდება ყოველდღიურად და ნახატი ყოველკვირეულად ირჩევა, გარდა ამისა, ბავშვებს ასწავლიან მოდელირებას და ქანდაკებას ცვილით ან თიხით. ასევე ასწავლიან მიდგომას გეომეტრიული და დინამიური ფორმების ხატვისადმი, რომელიც შექმნილია ადრეული ვალდორფის განმანათლებლის ჰერმან ფონ ბარავალეს მიერ და სკოლებში ცნობილია, როგორც "ფორმის ნახატი".

ასევე, ეფექტურად მუშაობს ცისარტყელაში ხელნაკეთი ნივთების დამზადება: მათ შორის ქსოვა, ხის მხატვრულად დამუშავება, კერვა და ქარგვა. ხელსაქმე ისწავლება 6 წლიდან მოყოლებული პროექტებით, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ბალიშების, წინდების, ხელთათმანების და თოჯინების დამზადებას. ხის დამუშავება ჩვეულებრივ ისწავლება მე-5 ან მე-6 კლასში. შემდგომ მოსწავლეთა ინიციატივით ხშირია, რომ მოსწავლე საკუთარ ნაშრომს, სურვილისამებრ, ან გამოფენს სკოლაში ან ჩუქნის ოჯახის წევრს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლის ყველა მოსწავლემ, ყველა მშობელმა იცის, რომ შეუძლია სკოლაში მიღებულ გადაწყვეტილებებთან, მიმდინარე პროცესებთან ან სხვა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, სურვილი, წინადადება, მოვიდეს ადმინისტრაციაში ან საკითხი განიხილოს „კლასის მასწავლებელთან“, ან თუ ანონიმურობა სურს, სკოლის ფოიეში განთავსებულ წინადადებებისა და საჩივრების ყუთში ჩადოს შეკითხვა, სურვილი, წინადადება, საჩივარი. სკოლა ითვალისწინებს მიღებულ უკუკავშირს, ყველა საკითხის განხილვა ხდება მშვიდ გარემოში და ეხმარება სკოლას მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.



- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- ✓ სკოლის ვებგვერდი
- ✓ სკოლის ფეისბუქგვერდი
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

ვინაიდან, სკოლას მხოლოდ დაწყებითი საფეხური აქვს, მოსწავლეების ასაკიდან გამომდინარე, ჯერ ადრეა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2 სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სკოლას მხოლოდ დაწყებითი საფეხური აქვს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3 სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლას მხოლოდ დაწყებითი საფეხური აქვს

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

✓ სკოლის ავტორიზაცია (მხოლოდ დაწყებითი საფეხური) ;

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, რომლებიც გაწერილია სკოლის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში „ინკლუზიური განათლება” და 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმაში.

სასკოლო გეგმა მოიცავს ინკლუზიური განათლების პრინციპებს, სსსმ მოსწავლის განმარტებას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესებს. 2023-2024 სასწავლო წელს სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის



ზრდას. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას 2023-2024 სასწავლო წელს არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, შტატში ჰყავს სპეციალური მასწავლებელი, რომელიც პრევენციულ ღონისძიებებზე მუშაობს და ეხმარება სკოლას მოსწავლეთა შეფასებაში.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სკოლას გააჩნია ადაპტირებული ფიზიკური გარემო, გამოყოფილია რესურს ოთახი . ასე, რომ სკოლას აქვს მზაობა სსსმ მოსწავლის მიღების.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ დოკუმენტი “ინკლუზიური განათლება”;
- ✓ სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ ესქულის ბაზა;

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება არის კვება. სკოლას არა აქვს ბიზნეს ოპერატორის სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ლანჩს. აღნიშნული დამატებითი მომსახურება ხორციელდება კვების ობიექტის ფუნქციონირების HACCP-ის სტანდარტის პრინციპების შესაბამისად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების მიწოდების მიზნით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს წრეობრივ მუშაობას, რომლებიც შეთავაზებულია არასავალდებულო სახით და მოსწავლეები ერთიანდებიან ინტერესების მიხედვით.

დამატებით, არასავალდებულო სერვისებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეებისა და მშობლების სურვილებსა და ინტერესებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

დამატებითი მომსახურება სკოლაში ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. კერძოდ, სკოლის კვების ობიექტი მოწყობილია HACCP პრინციპების გათვალისწინებით. სკოლას რჩევის სახით მიეცა ბიზნეს ოპერატორად დარეგისტრირება, რაც სურსათის ეროვნული სააგენტოს მოთხოვნაა და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის ტერიტორიაზე ქვევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში და სკოლის მიერ დაგეგმილ ექსკურსიებსა და სხვა გასვლით ღონისძიებებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის შინაგანაწესი;
- ✓ HACCP -ის სერტიფიკატი;
- ✓ მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება
- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება <i>(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)</i>
სასკოლო კურიკულუმი ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება <input type="checkbox"/> არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	<input type="checkbox"/> შეესაბამება <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შეესაბამება <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შეესაბამება



არ შეესაბამება



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ექსპერტების შეფასებით კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ექსპერტის შეფასებით კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. ექსპერტის შეფასებით კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. ექსპერტის შეფასებით კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი N 2.1.
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- პედაგოგიური კონფერენციის ოქმები;

- სასწავლო პროცესის ხარისხის განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი;
- მშობლის კითხვარი.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს;
3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;
5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, გარდა საზოგადოებრივი მეცნიერებებისა, შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების მიხედვით სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სტრუქტურული თვალსაზრისით სრულად წარმოდგენილი/გაწერილი არ არის სავალდებულო კომპონენტები. კერძოდ; მე და საზოგადოების მე-3 კლასის საგნობრივი კურიკულუმში ასახული არ არის თემა „სასკოლო გარემო, მეგობრები და თანატოლები“, ხოლო ჩვენი საქართველოს მიხედვით: მე-5 კლასის კურიკულუმში „სამეგრელო“ და „აჭარა“ მე-6 კლასის მიხედვით კი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი“, „გურია“, „ რაჭა- ლეჩხუმი“ და „აფხაზეთი“, შესაბამისად აღნიშნული თემების მიხედვით პრაქტიკულად არ ჩანს თემატური ერთეულები, მხოლოდ დასახელებების სახით არის წარმოდგენილი და მათთვის განკუთვნილი სხვა ყველა სვეტები ცარიელია, შესაბამისად თავიდან არის გასაწერი. ასევე, მე-5 კლასის ჩვენი საქართველოს კურიკულუმში წარმოდგენილი არ არის გრძელვადიანი მიზნის „საზოგადოების“ ფარგლებში შინაასობრივი ნაწილი, რაც საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიხედვით მოსწავლის მიერ სრულად საკითხების/თემების გააზრება ვერ მოხდება. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც გაიზიარა საგნობრივმა ექსპერტმა და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.



სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (17.07.2024- 02.09.2024) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში ყველა თემისა და სამიზნე ცნებების ფარგლებში ასახოს შესაბამისი შინაარსობრივი ნაწილი.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, სახელმწიფო ენის ზოგიერთი კლასის კურიკულუმში (მაგ . მე-2 კლასი) კონტექსტ-მაგალითები გაწეროს კომპლექსური ტიპის დავალებებისა და ძირითადი ტექსტების შესაბამისად, ყურადღება მიაქციოს, რომ არ იყოს აცდენა საკითხების, თემებისა და კომპლექსური დავალებების ურთიერთმიმართებებში. სასურველია მუსიკის საგნის პირველი კლასის კურიკულუმში II და III თემის ფარგლებში მოცემული შემოქმედებითი დავალებები შინაარსობრივად უფრო მჭიდრო კავშირში იყოს თემებთან და საკითხებთან.

2.საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, გარდა საზოგადოებრივი მეცნიერებებისა, კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს. დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების მიხედვით სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში სტრუქტურული თვალსაზრისით სრულად წარმოდგენილი/გაწერილი არ არის სავალდებულო კომპონენტები. კერძოდ; მე და საზოგადოების მე-3 კლასის საგნობრივი კურიკულუმში ასახული არ არის თემა „სასკოლო გარემო, მეგობრები და თანატოლები“, ხოლო ჩვენი საქართველოს მიხედვით: მე-5 კლასის კურიკულუმში „სამეგრელო“ და „აჭარა“ მე-6 კლასის მიხედვით კი „აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი“, „გურია“, „ რაჭა- ლეჩხუმი“ და „აფხაზეთი“, შესაბამისად აღნიშნული თემების მიხედვით პრაქტიკულად არ ჩანს თემატური ერთეულები, მხოლოდ დასახელებების სახით არის წარმოდგენილი და მათთვის განკუთვნილი სხვა ყველა სვეტები ცარიელია, შესაბამისად თავიდან არის გასაწერი. ასევე, მე-5 კლასის ჩვენი საქართველოს კურიკულუმში წარმოდგენილი არ არის გრძელვადიანი მიზნის „საზოგადოების“ ფარგლებში შინაარსობრივი ნაწილი, რაც საგნობრივი სტანდარტის შედეგების მიხედვით მოსწავლის მიერ სრულად საკითხების/თემების გააზრება ვერ მოხდება. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც გაიზიარა საგნობრივმა ექსპერტმა და **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (17.07.2024- 02.09.2024) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში ყველა თემატური ერთეულის მიხედვით მოახდინოს გრძელვადიანი მიზნის ფარგლებში შინაარსობრივი ნაწილის გაწერა (სამიზნე ცნება/ ქვეცნება, კომპლექსური დავალების დასახელება, საკითხთა კლასტერი, კონტექსტ- მაგალითი, მაგალითი შედარებისთვის, რესურსები). საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მიერ სკოლას მიეცა რჩევა: ქვეცნებები ჩამოწერილია ერთად, უნდა მიემართებოდეს კონკრეტული სამიზნე ცნებისკენ;

მე-2 კლასი - სასურველია ჩანდეს კომპლექსური ტიპის დავალება სრული სახით და არა მხოლოდ იდეა;

მე-6 კლასი რესურსის გრაფაში წერია ინფორმაციის მოძიება მოძიება ინტერნეტიდან - სასურველია დაკონკრეტდეს წყარო.



3.საგნობრივი ექსპერტების შეფასებით კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, გარდა საზოგადოებრივი მეცნიერებებისა, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სკოლის მიერ წარმოდგენილი მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს საგნობრივ კურიკულუმებში სასწავლო რესურსების სახით ძირითად შემთხვევებში წარმოდგენილია მხოლოდ სახელმძღვანელო (მოსწავლის რვეული), ხოლო სხვა ტიპის რესურსები (ელექტრონული, დამხმარე თუ სხვ.) ძალიან მწირი სახითაა. კერძოდ, მე-3 კლასის მე და საზოგადოების კრუკულუმში გარდა სახელმძღვანელოსი საერთოდ არ არის ასახული სხვა ტიპის რესურსი, მე-5 კლასის ჩვენ საქართველოში მხოლოდ ერთი ელექტრონული სახის რესურსია, ხოლო მე-6 კლასის იმავე საგანში მხოლოდ ერთ საკითხზეა (კახეთი) ასახული დამატებითი სახის რესურსები, შესაბამისად ეს ნაწილი კურიკულუმის ფორმაში დასახვეწია, რადგან სასწავლო პროცესში მოსწავლე უზრუნველყოფილი იყოს საკითხის დამუშავებისას სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევაში.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც გაიზიარა საგნობრივმა ექსპერტმა და **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (17.07.2024- 02.09.2024) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს კურიკულუმებში ასახოს სხვადასხვა ტიპის მრავალფეროვანი რესურსები.

4.საგნობრივი ექსპერტების შეფასებით სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს;

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მიერ სკოლას მიეცა რჩევა: სკოლას გათვალისწინებული აქვს დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები და წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა დოკუმენტში. სასურველია ზემოაღნიშნული მიდგომები საგნობრივი კურიკულუმის ნაწილში იქნას ასახული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5.საგნობრივი ექსპერტების შეფასებით მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. სკოლის მიერ წარმოდგენილია მე და საზოგადოების მე-3 კლასის თემა „ჩემი ოჯახის“ ფარგლებში განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც ძალიან ზოგადი ჩარჩოა და მისი შინაარსი სტანდარტიდანაა გადმოტანილი- თემის ბოლოს მისაღწევი შედეგების სახით, რომელიც დაკონკრეტებული უნდა იყოს თემის შინაარსთან (დავალების, საკითხების/ საკითხთა კლასტერის მიხედვით), რადგან ზუსტად მოახდინოს თემის ფარგლებში მოსწავლის მიღწევების, სუსტი და ძლიერი მხარეების წარმოჩენა, გარდა ამისა ამ რუბრიკის მიხედვით არ ჩანს რა მექანიზმს ემყარება განმავითარებელი შეფასება; კონკრეტული დონეების მიხედვით როგორ ხდება მოსწავლეთა მიღწევების გამოკვეთა,



რათა მოსწავლის მიღწევები გაზომვადი იყოს და მასწავლებლის კომენტარები (განმავითარებელი კომენტარები) მკაფიო და კონკრეტული სახით იყოს ჩამოყალიბებული. რაც შეეხება საგანი ჩვენი საქართველოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, ჩემს მიერ გაგზავნილი დამატებითი დოკუმენტაციის ნუსხაში მითითებისა და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს მოთხოვნის მიუხედავად სკოლას არ წარმოუდგენია, შესაბამისად შეფასების სისტემა აღნიშნული საგნების მიხედვით დასახვეწია/შესაქმნელია და უნდა პასუხობდეს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პრინციპებს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც გაიზიარა საგნობრივმა ექსპერტმა და **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (17.07.2024- 02.09.2024) და მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს მიხედვით შექმნას განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების უპასუხებს.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მიერ სკოლას მიეცა რჩევა: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება უნდა მიემართებოდეს კონკრეტული დავალებისკენ და არ უნდა იყოს ზოგადი სახის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- ინკლუზიური განათლება საგურამო;
- დაწყებით კლასებში გამოყენებული აქტივობების აღწერა;
- მოძრავი საკლასო ოთახის კონცეფცია;
- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმა;
- პედაგოგიური კონფერენციის ოქმი N1 (2023 წლის აგვისტო);
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- შეესაბამება
- მეტწილად შეესაბამება



- ნაწილობრივ შეესაბამება
- არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

1. სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;
2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ექსპერტის შეფასებით სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. საგნობრივი ექსპერტების შეფასებით, გარდა საზოგადოებრივი მეცნიერებებისა, სადაც წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა თემის მიხედვით სტანდარტის შედეგებთან კავშირში დასახვეწია, ხოლო ჩვენი საქართველოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები სკოლას საერთოდ არ წარმოუდგენია, შესაბამისად შეფასება გამჭვირვალე ვერ იქნება. მოსწავლის მიღწევების, სუსტი და ძლიერი მხარეების სწორ ანალიზს მოახდენს. შესაბამისად საზოგადოებრივი მეცნიერებების ფარგლებში შეფასების სისტემა ვერ იქნება ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი (იხ. დანართი 2.5.). სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც გაიზიარა საგნობრივმა ექსპერტმა და **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება მითითებულ ვადაში (17.07.2024- 02.09.2024) და შექმნას მე და საზოგადოებისა და ჩვენი საქართველოს ფარგლებში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს დაეფუძნება, რათა შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.



4. სკოლამ წარმოადგინა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი რომელიც არ ამოქმედებულა. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად აღნიშნული დოკუმენტი ამოქმედდება პილოტირების შემდეგ 1 წლამდე პერიოდში. სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმა გათვალისწინებული იქნა და **ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობების შესრულება და ვერიფიკაციის დოკუმენტის ამოქმედება მითითებულ ვადაში (აპრილი, 2024 - დეკემბერი, 2024)

5. ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტის შეფასებით სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია სკოლამ მარეგულირებელ დოკუმენტებში მიუთითოს თითოეული დოკუმენტის შენახვის ვადა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმა;
- პედაგოგიური კონფერენციის ოქმი N1, N3, N4.;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

1. კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში;
(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)
2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას;



3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

